პროლეტარებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 273 (20014) პარასკევი, 27 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამტკიცეს „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ იმ დამატებებისა და ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც შეტანილია შრომითს კოლექტივებში, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების დაწესებულებებში, რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივებზე, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებზე, ცენტრალურ პრესასა და მშრომელთა წერილებში მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით.

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი ითვალისწინებს დიდი სოციალური პროგრამების რეალიზაციას. პარტიასა და სახელმწიფოს უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიათ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და გაკაჟება, მათი სიცოცხლისა და შემოქმედებითი აქტიურობის გახანგრძლივება, სამედიცინო დახმარების ხარისხის კარდინალური გაუმჯობესება.

ჯანმრთელობა თითოეული ადამიანის სიკეთე და ბედნიერება და შრომის ნაყოფიერების ზრდის, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უცილობელი პირობაა. თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს შეესაბამება, სოციალისტური საზოგადოების აყვავების დღევანდელ მიზნებს ემსახურება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ძირეულ გარდაქმნებს, რომლებიც შეესაბამება ხალხის ყველაზე საარსებო და სანუკვარ მისწრაფებებს. პირველად ისტორიაში სახელმწიფომ იკისრა პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, გარანტირებული გახადა შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და სამედიცინო ღონისძიებათა კანონმდებლური, ორგანიზაციული და მატერიალური უზრუნველყოფა.

სსრ კავშირში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილად საერთო-სახალხო სისტემა, რომელიც საც საფუძვლად უდევს უსასყიდლო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების, პროფილაქტიკის, მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობის, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის ლენინური პრინციპები. ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ეს სისტემა სამედიცინო უზრუნველყოფდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და ქვეყნის სანიტარიულ კეთილდღეობას.

საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის გეგმების თანმიმდევრული განხორციელების, ავადმყოფობათა პროფილაქტიკის დიდი მასშტაბის სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელების, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების განვითარების შედეგად კარდინალურად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სამჯერ და შეტად შემცირდა საერთო და 11-ჯერ ბავშვთა სიკვდილიანობა, ერთიორად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოისპო ბევრი საშიში ინფექციური დაავადება. დღენიადაგ მცირდება შრომელთა შორის საწარმო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადების, ინვალიდობის დონე.

სოციალიზმის უდავო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ საზოგადებრივი ჯანმრთელობის სოციალური ერთგვაროვნობის მტკიცე ტენდენციაც. ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესება, სიკვდილიანობის შემცირება, შემოქმედებითი ცხოვრების გახანგრძლივება დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის, ყველა ერისა და ეროვნებისათვის. ბევრმა ხალხმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე კიბლამ გადაშენდნენ, ახლა ჯანმრთელობის დონის მაღალ მაჩვენებლებს ციცაღრნა.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა გადაიქცა სოციალური სფეროს დიდ დარგად. აშენდა და აღიზარდა ათიათასობით პოლიკლინიკა, საავადმყოფო, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურები, საბავშვო დაწესებულებები, ასობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სასწავლებელი. შეიქმნა დედისა და ბავშვის დაცვის სისტემა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური საქსახურო, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ფართო ქსელი. დარგში მუშაობს 1,2 მილიონი ექიმი და 3,3 მილიონი საშუალო სამედიცინო მუშაკი. საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალის ზრდა შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველვყოთ ნოსახლეობა არა მარტო საერთო-საექიმო, არამედ სხვადასხვა სახეობის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარებითაც.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის შთამბეჭდავმა მიღწევებმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. მისი პრინციპები, პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების ორგანიზაციის სისტემა ჯანმრთელობის დაცვის ნოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ეროვნული სამსახურების შექმნის ნიმუშად.

მიღწეული წარმატებანი მოწმობს, თუ რა უდიდესი უპირატესობანი და შესაძლებლობანი აქვს სოციალისტურ საზოგადოებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა გადაჭრაში. მაგრამ, როგორც ობიექტური ანალიზი მოწმობს, ამ შესაძლებლობებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დამდეგს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავი იჩინა და იმატა ნეგატიურმა ტენდენციებმა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი ყურადღების შესუსტებას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების წილის შემცირება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების, ახალი წამლებისა და აპარატურის მეთოდების ათვისების პროცესების შენელება. ზოგიერთ ზონაში, დაგეგმვის ნაკლოვანებანი, მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტება გახდა დარგის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ცალკეული სასასახურების განვითარების პროპორციების განსაზღვრაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მიზეზი. სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის შეფასების ჩამოყალიბებული წესი ორიენტირებული არ არის მოსახლეობის სამკურნალო, პროფილაქტიკური და სამკურნალწამალ დახმარების ხარისხის გაუმჯობესებაზე. გავრცელდა ისეთი მოგლენები, როგორიც არის გულქვაობა, უსულგულობა, უხეშობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მექრთამეობა, ბიუროკრატიზმი. ზნეობრივი და ეთიკური დეფორმაციები გავრცელდა უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში მიღებაზე, სწავლებისა და მუშაობის შედეგების შეფასებაზე, სამსახურებრივ დაწინაურებაზე. შრომის ანაზღაურების არსებული სისტემა სტიმულს ვერ აძლევდა მისწრაფებას გაეუმჯობესებინათ მუშაობის ხარისხი, დაუფლებოდნენ ცოდნასა და ჩვევებს, აემაღლებინათ კვალიფიკაცია.

შენელდა ყურადღება პროფილაქტიკური ბუშაობისადმი — სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში წამყვანი მიმართულებისადმი. სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სათანადო მოცულობით არ ახორციელებენ გაუუმყარებისაგან წყალსაცავების, ატმოსფეროს ჰაერის, ნიადაგის დაცვის, წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის ღონისძიებებს. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობა უზრუნველყოფილი არ არის ხარისხიანი სასმელი წყლით, ზოგიერთი ქალაქის ჰაერის აუზში ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია რამდენჯერმე აღემატება დადგენილ ნორმატივებს. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური უმოქმედოდ და პასიურობას იჩენს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, არ იყენებს საამისოდ მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებებს. მცირეა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვისადმი სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ეფექტიანობა.

მრავალი წლის მანძილზე საჭირო ყურადღება არ ეთმობოდა ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისათვის მუშაობას. მოსახლეობის ორ ბესამედზე მეტი სისტემატურად არ არის ჩაბმული ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, დაახლოებით 30 პროცენტს აქვს ზედმეტი წონა, 70 მილიონამდე კაცი თამბაქოს ეწევა. ფართოდ გავრცელდა ლოთობა და ალკოჰოლიზმი, იჩრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ნარკოტიკებს ხმარობენ. ქვეყანაში მტაცეც და შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა სოციალისტური მორალისათვის ამ უცხო მოვლენების წინააღმდეგ. მაგრამ იგი ყველგან როდი წარმოუს სათანადო სიმტკიცითა და თანამიმდევრულობით.

სამედიცინო დახმარების დონე და ხარისხი სრულად არ აკმაყოფილებენ საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნებს. ნელა ინერგება პრაქტიკაში ბოწინავე გამოცდილება, დაავადებათა გამოვლენისა და მათი მკურნალობის ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდები. არ არის უზრუნველყოფილი ნემკვიდრეობითობა სტაციონარული და არასავადმყოფო დაწესებულებათა მუშაობაში. დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან ხოლმე პაციენტებს ჰოსპიტალიზაციაზე, დროულად არ მიჰყავთ სამკურნალო დაწესებულებამდე ავადმყოფები, რომლებსაც სასწრაფო დახმარება სჭირდებათ, ეფექტიანად არ იყენებენ საწოლების ფონდსა და სანატორიულ-დიაგნოსტიკურ მოწყობილობას, დიდ ზარალს უნდებიან ავადმყოფთა გამოკვლევას საავადმყოფოებში, თითქმის რიგ პოლიკლინიკებში არ არის მოგვარებული მიღება მოსახლეობისათვის მოსახერხებელ დროს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მუშაობის მდგომარეობა. სამშობიარო სახლები, ბავშვთა პოლიკლინიკები და სტაციონარები, ქალთა კონსულტაციები არადამაკმაყოფილებელი აღჭურვილობის, კადრების სუსტი მომზადების გამო ვერ უზრუნველყოფენ პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის და ბყურნალობის თანამედროვე დონეს. ბევრ სამშობიარო დაწესებულებაში, დღენაკლულ ბავშვთა მოვლა-პატრონობისა და ჩვილთა მკურნალობის განყოფილებებსა და პალატებში უნებლად არღვევენ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

სერიოზულად ვხედავ განმტკიცდეს დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბევრი საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, პოლიკლინიკა, ამბულატორია და აფთიაქი განლაგებულია საფეხელდახელო და ავარიულ შენობებშიც კი, საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს ან რეკონსტრუქციას, არა აქვთ ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია, ცხელი წყალი. ამავე დროს წლითიწლობით ვერ ითვისებენ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ავგებისათვის გამოყოფილ სახსრებს. სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მოქმედი ტიპობრივი პროექტები არ ითვალისწინებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრული მოცულობით გამოყენებას.

სამედიცინო ტექნიკაზე, წამალზე, მეწასხვევ და სადეზინფექციო საშუალებებზე, ავადმყოფის ბოგლისათვის საჭირო საგებებზე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ლებ სრულად არ კმაყოფილდება. საბჭოთა მრეწველობის მიერ გამოშვებული ხელსაწყოებისა და აპარატების უბრალესობა მახასიათებლებით ჩამორჩება საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს.

სრულად ვერ ვიყენებთ სამამულო სამედიცინო მეცნიერების დიდ პოტენციალს. მეცნიერული საბჭედიცინო გამოკვლევები წარმოებს სოციალური მეკვთებისა და პრაქტიკის, პრიორიტეტულ მიმართულებათა გაუთვალისწინებლად, დაგეგმვის ანალიზული სისტემა ვერ უზრუნველყოფს არსებული ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. დაბალია ფუნდამენტური და გამოყენებითი ნამუშევრების დონე: მათგან მხოლოდ ხუთი პროცენტია პატენტუნარიანი, სანამდილო ნამუშევრების მესამედი საზღვარგარეთულის გამეორებაა, ნელა ინერგება საბეცნიერო მიღწევები. მწუთვედ დგას ახალგაზრდა მეცნიერთა ცვლის მომზადების პრობლემა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ვერ აერთიანებს ბეცნიერთა ძალებს, სათანადო მომთხოვნელობით არ ეკიდება გამოკვლევათა ხარისხსა და მნიშვნელობას. პრაქტიკის წინაშე დიდ ვალშია უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება, რომელშიც

(გაგრძელება 3ე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახებ

დაიწყო გარდაქმნის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი, პრაქტიკულ საქმეთა პერიოდი. ახლა მთავარია დავაჩქაროთ განახლების ტემპი, საქმით შევუწყოთ ხელი მთელი სგრძე-სგანით მათს განვითარებას, ენერგიულად ვიღვაწოთ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის, პროცესებისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისათვის, დამუხრუჭების მექანიზმების დაძლევისათვის.

ცვლილებების, გარდაქმნის სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების ავანგარდში არიან კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ტონი უნდა მისცენ მუშაობას, მიაღწიონ ყველა მიმართულებით პოზიტიურ ცვლილებებს. შეფასების ერთადერთი კრიტერიუმია საქმის ნარჩენები, რეალური წვლილი გარდაქმნაში. უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ სფეროებში კონკრეტული ცვლილებებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ გარდაქმნის მიმდინარეობის, პარტიული კომიტეტების ცოცხალი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შედეგიანობის შესახებ.

სწორედ გარდაქმნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ამოცანები უნდა განიხილოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მორიგ პლენუმზე, რომელიც 1988 წლის იანვარში გაიმართება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა არა მარტო უნდა დაამკვიდროს და გაღრმავოს პოზიტიური ტენდენციები, არამედ მთელი ყურადღება მიაპყროს გადასაწყვეტ ამოცანებსა და უძრაობის მოვლენებს, განსაზღვროს მოქმედების მკაფიო პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა გარდაქმნას მიენიჭოს საჭირო დაჩქარება. მუშაობას უნდა უმატოს ყველა რგოლმა, ცხოვრებისეული პროცესების დინამიკური განვითარებისაგან ჩამორჩენა უნდა აღმოფხვრან მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი აქტიურად მონაწილეობდნენ პლენუმის მომზადებაში, შემოქმედთ მის მუშაობაში ადგილებზე პარტიული მუშაობის ცოცხალი გამოცდილება, გარდაქმნისათვის, ყოველივე იმის დაძლევისათვის ბრძოლის გამოცდილება, რაც ამუხრუჭებს მის გაღრმავებასა და წინსვლას.

პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა — ეს ნიშნავს აქტიურად ჩავებით რესპუბლიკის, ქვეყნის განვითარების დაჩქარების პროცესში, გამოვძებნოთ პრინციპულად ახალი მიდგომა, ნოვატორული იდეები; ეს ნიშნავს გაბედულად მოვკიდოთ ხელი საზოგადოებაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრას, მივაღწიოთ ცხოვრების ყველა სფეროს რეფორმირებას გარდაქმნებს, შეგქმნათ მათი შეუქცევადობის მტკიცე გარანტიები; ზუსტად განესაზღვროთ თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის ადგილი ახალი ამოცანების გადაწყვეტაში, გავზარდოთ მათი ავანგარდული როლი და მებრძოლურობა, ყოველდღიური მუშაობის ცენტრი გადავიტანოთ პარტიის ძირეულ რგოლებში, შრომითს კოლექტივებში, დავამკვიდროთ პარტიულ ცხოვრებაში დემოკრატიზმი, კრიტიკა და თვითკრიტიკა, მკაცრად მოვკითხოთ ახლებურად მუშაობისათვის, საბოლოო შედეგებისათვის, მივაღწიოთ საკადრო მუშაობის გაუმჯობესებას.

პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა — ეს ნიშნავს ყოველნაირად სრულყოთ მეურნეობრობის თვისებრივად ახალი მექანიზმი, რომელსაც საუფაქვლად უდევს ეკონომიკური პრინციპები, დაეკუფლოთ აზროვნების თანამედროვე დონეს, უნარს მეღეგიანად ვშრომობდეთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე, თვითანაზღაურებაზე გადასვლის გართულებულ პირობებში; ეს ნიშნავს თვალი არ ავარიდოთ ნაკლოვანებებს, გადასაჭრელ პრობლემებს, აქტიურად ვიბრძოლოთ მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების, ბიუროკრატიზმის, თვითდამშვიდების წინააღმდეგ, გავამაცროთ მომთხოვნელობა საგეგმო დავალების, სახელმეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის, წარმოების ორგანიზებულობისა და კულტურისათვის, გავზარდოთ პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის; ყოველნაირად უნდა მივაღწიოთ შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას, საქმისადმი ინიციატივისა, შემოქმედებითი დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნას, გავშალოთ ბრძოლა მფლანგველობის, უყაირათობის, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ზნეობრივი ანომალიების წინააღმდეგ.

პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა — ეს ნიშნავს ყველგან და ყველაფერში გაგზარდოთ შრომისა და მშრომელი ადამიანის აქტორიტეტი, ავამაღლოთ თითოეული შრომითი კოლექტივის სახელი და ღირსება, საქმეში ჩავაქსოვოთ პარტიული გზნება და პასუხისმგებლობა, მივაღწიოთ თითოეული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მშენებლობის, სამეცნიერო დაწესებულების, ლაბორატორიის, საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობის გაუჯობესებას; ნიადაგ ვიზრუნოთ ადამიანის სოციალური კეთილდღეობისათვის, საბოლოოდ უკუვაგდოთ სოციალური სფეროს განვითარებისათვის „ნარჩენების“ გამოყოფის პრინციპი, ამასთან რეალური ზემოქმედება მოვახდინოთ სოციალური სამართლიანობის განვითარებასა და გაღრმავებაზე, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის პროცესზე, მათი შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებაზე, მთელი სულიერი და კულტურული ცხოვრების ინტენსიფიკაციაზე.

პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა — ეს ნიშნავს განვამტკიცოთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის ტრადიციები, განვამტკიცოთ ურთიერთობის ის განსაკუთრებული მიკროკლიმატი, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა შორის, ურთიერთმხარდაჭერის, ურთიერთხსნის, ურთიერთდახმარებისა და ნამდვილი ძმობის მიკროკლიმატი; ეს ნიშნავს მივაღწიოთ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის ყველა სფეროს დემოკრატიზაციის გაფართოების, საჯაროობის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპების დამკვიდრების პროცესის შეუქცევადობას, და ამ საფუძველზე ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს, ნეგატიურ გამოვლინებებს, დავძლიოთ ინერტულობა და სოციალური აპათია.

სწორედ ამ საპროგრამო მიზნების გადაწყვეტის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ პლენუმზე გარდაქმნის დაჩქარების, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში რეალური ძვრების მიღწევის ამოცანები. რა თქმა უნდა, პერსპექტივებზე რომ ვფიქრობთ, ვსახავთ ახალ გეგმებს, მთელი ყურადღება უნდა მივაპყროთ დღევანდელი ხუთწლედის, მისი მიმდინარე, მეორე, მეტად ძნელი და მნიშვნელოვანი წლის ამოცანების გადაწყვეტასაც.

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის განვითარებას ახასიათებს პოზიტიური ძვრები. უზრუნველყოფილია სამრეწველო წარმოების ზრდის უპირატესი ტემპი. დადებითი ტენდენციები იჩრდნენ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა დარგებშიც. კიდევ უფრო აშკარდება ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, იჩრდება ადამიანთა აქტიურობა და დაინტერესება.

ამავე დროს გვაქვს მრავალი გადასაჭრელი პრობლემა. ბევრი საწარმო ცუდად იყენებს საწარმოო სიმძლავრეებს, მატერიალურ, შრომითს, ფინანსურ რესურსებს, არ ამოქმედებს ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს. ურიგდება წარმოების მოცულობის შემცირებას. ირღვევა სახელშეკრულებო ვალდებულებანი. არ სრულდება პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის, მოგების გეგმები, თვითღირებულების შემცირების დავალებანი. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ეს ნაკლოვანებები ზრარად ახასიათებს იმ საწარმოებსაც, რომლებიც უკვე მუშაობენ ან 1988 წლიდან დაიწყებენ მუშაობას სახელმწიფო მიღების, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პირობებში.

ბევრი რაიონის მეურნეობა ჩამორჩება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთელი რიგი პროდუქტების წარმოებაში. სერიოზული ხარვეზებია კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ნელა გარდაიქმნებიან რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ცხოვრების მოთხოვნებს ჩამორჩება სოციალური კომპლექსის განვითარება.

შემჩნეული ვითარება ბევრად არის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების პოლიტიკური და ორგანიზაციული მოდუნების, უინიციატივობის შედეგი, რომლებიც არ ავლენენ აქტიურობასა და მიზანსწრაფვას, შრომითს კოლექტივებს მიზნად არ უსახავენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, საუკეთესო საბოლოო შედეგებს.

ამიტომ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ შრომითს კოლექტივში შეიქმნას დიდი პოლიტიკური და შრომითი შემართების ატმოსფერო, რომელიც აღგვძრავს სურვილს ვეძებოთ ეფექტიანი გადაწყვეტები, დავამკვიდროთ ურთიერთმომთხოვნელობის, მტკიცე პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, სიტყვის ერთგულების ვითარება, უძრაობის, უწყვეტრობის, სხვისი მოიმედობის, ბიუროკრატიზმისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. უნდა მივაღწიოთ წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის დაჩქარებას, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისათვის საწარმოთა უკეთესი მომზადების უზრუნველყოფას, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პრაქტიკულ განხორციელებას.

რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის პოლიტიკური ნება, შეგნება და ენერგია დღეს უნდა წარვმართოთ იმისაკენ, რომ ჰაქსიმალურად ავამოქმედოთ შინაგანი რეზერვები თითოეულ შრომითს კოლექტივში, თითოეულ სამუშაო ადგილას, გავაძლიეროთ შრომითი მეტოქეობის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის, რესურსდაზოგვისათვის, სახელშეკრულებო მიწოდებათა ზუსტი შესრულებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ასეთი სიბრტყით წლის ფინიშზე ამოცანის დაყენებას, გვწამს, მხუთგალად, დაინტერესებით გამოეხმაურებიან რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებისთვისაც საქმის რეალურ გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლური, სერიოზული ზრუნვა, მტკიცე დისციპლინა და შემართება, ინიციატივა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა ყოველთვის იქნება წინა პლანზე, შეადგენდა შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ღერძს. სწორედ ეს უნდა გახდეს მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისა და მომავალ 1988 წელს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ძვრების მისაღწევად მტკიცე საძირკველის უზრუნველყოფის საიმედო გარანტია.

*

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე გამოსატანი ამოცანების წინასწარი საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო განხილვის ტრადიციისამებრ მოვუწოდებთ რესპუბლიკის კომუნისტებს, შრომელებს მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები, „შემოიტანონ კონსტრუქციული წინადადებანი, გამოთქვან კონკრეტული მოსაზრებანი გარდაქმნის დაჩქარებისა და გაღრმავების, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, განახლების პროცესებისათვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პლენუმების მუშაობის სრულყოფის შესახებ. გთხოვთ თქვენი რჩევა-დარიგებანი და სურვილები გამოგზავნოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1987 წლის დეკემბრის დამლევამდე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები გაითვალისწინებენ მომავალი პლენუმის უდიდეს პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მნიშვნელობას და ყველაზე აქტიურ და დაინტერესებულ მონაწილეობას მიიღებენ მის მომზადებაში ბოლშევიკური გულახდილობის, საჯაროობის, კონსტრუქციული კრიტიკის ატმოსფეროში, ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ კოლექტიური გამოცდილება, რათა შევიმუშაოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების პოლიტიკურ-გეზის პრაქტიკული ხორცშესხმის ახალი ეფექტიანი გზები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

დიდ ქართველ მამულიშვილს

მოსკოვში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო

მოსკოვი, 26 ნოემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ). „ველარ განუვლეს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვას...“ — თვით ისტორიამ დაადასტურა ილია ჭავჭავაძის ამ წინასწარმეტყველური სიტყვების ჭეშმარიტება, რომლის სიცოცხლეც მშობელი ხალხის თავდადებულ სამსახურში გაილია. დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების 150 წლისთავი ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში.

მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, მებრძოლსა და პატრიოტს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც 25 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. აქ თავი მოიყარეს პარტიელი, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელებმა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებმა, მომძე რესპუბლიკების წარგზავნილებმა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ჯორნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ჯ. ი. პატიაშვილი, კ. ს. დეშირჭიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ნ. სევრუკი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჩეხარინი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მაროზენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აკადემიკოსები, უნივერსიტეტების პროფესორები, ბუღალტრების, ირლანდიელებიც, უკრაინელებისა და მრავალი სხვა ხალხის დამოუკიდებლობას, რომელთა მეგობრობა და ძმობა მისი სანუკვარი ოცნება იყო.

არ შემიძლია აქ არ გავიხსენო ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული დამოკიდებულება რუსეთის, რუსული საზოგადოების პროგრესული ნაწილისადმი. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი, იგი დიდად აფასებდა მოწინავე რუსული კულტურის როლს ქართული კულტურის განახლების საქმეში. თავისი სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს — ჩვენი საუკუნის დამდეგს — ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული ილია ჭავჭავაძე წერდა: „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სული

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის

ძირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

უმაღლესი კვალიფიკაციის ბჭონე მედიცინის სამეცნიერო კადრების თითქმის ნახევარი მოღვაწეობს.

ამ და სხვა ნაკლოვანებებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა ბოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ქვეყანაში გაუარესდა დემოგრაფიული პროცესების დინამიკა, დიდია ბავშვთა და შრომისუნარიანი ასაკის მაჩვენებელი სიკვდილიანობა, დიდი ხნის მანძილზე არ იზრდებოდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, პრაქტიკულად არ მცირდება გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებათა დონე. სახალხო მეურნეობას დიდი დანაკარგები აქვს იმის გამო, რომ შრომის უნარს კარგავენ მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები დაავადებებისა და ტრავმების, აგრეთვე ავადმყოფი ბავშვების მოვლის გამო. ყოველდღიურად ამ ბიზეზით სამუშაოზე არ გამოდის დაახლოებით 4 მილიონი კაცი, დროებითი შრომისუუნარობისათვის ყოველწლიური დახმარება 7 მილიარდ მანეთს აღემატება.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟების მდგომარეობა მშრომელთა საფუძვლიან საყვედურებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს პარტიის სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტიკური ცხოვრების წესის განმტკიცებას, მთლიანად საზოგადოების განვითარების დაჩქარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახავენ ამოცანას — ძირფესვიანად გარდაქმნას ჯანმრთელობის დაცვა, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი, უზრუნველყოფილ იქნეს არსებული პოტენციალის გამოყენება, მკვეთრად გაიზარდოს სამედიცინო დახმარების ხარისხი. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ დარგის ყველა რგოლის, თითოეული მედიცინის მუშაკის საქმიანობა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. სრულად და ყველგან დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სამკურნალოამლო პრპარატებსა და ავადმყოფების მოვლისათვის საჭირო საგნებზე.

ამ მიზნით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად განხორციელდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანია დაავადებათა პროფილაქტიკის გაძლიერება, მთელი მოსახლეობის დისპანსერიზაციის ეტაპობრივი შემოღება, სამედიცინო კადრების პროფესიული ოსტატობის სრულყოფა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საყოფიაქო დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და კულტურის ამაღლება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, გარემოს დაცვის საკითხთა გადაწყვეტას, მოსახლეობის შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას, უზრუნველყონ, რომ უთუოდ შესრულდეს სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გეგმები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისათვის დარგის კადრებით დაკომპლექტების, მათი დამკვიდრებისა და იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის მუშაობაში.

საჭიროა, რომ საბჭოთა საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდეს ჯანმრთელ ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაკაჟებას.

იმ მიზნით, რომ ფართო საზოგადოებრიობა ჩაებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის საქმეში, გაფართოვდეს ინფორმაცია ამ დარგში სსრ კავშირის მიღწევათა შესახებ, მხარი უნდა დავუჭიროთ შრომელთა ინიციატივას, რომ შეიქმნას საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და მოწყალების ფონდი, რომელიც ყალიბდება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირებისა და ცალკეული მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე.

თვისებრივად ახალ დონეზე ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის აყვანა საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფო საქმეა. დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა, რომ მედიცინის ყველა მუშაკი, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები შემოქმედებითად მიეფიქრენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟების სრულყოფის საქმეს.

I. პროფილაქტიკის ეფექტიანობის გაზრდა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის გენერალური გეზია

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ყველა ეტაპზე პროფილაქტიკური მიმართულება იყო და არის ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ფუძემდებელი პრინციპი, იდეოლოგია. პროფილაქტიკა არსებითად წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია ადამიანების ჯანმრთელობის, მათი შემოქმედებითი დღეგრძელობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, დაავადებათა ყოველგვარი მიზეზების აღმოფხვრა, მოსახლეობის შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, გარემოს დაცვა. მათი განხორციელება არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ამოცანაა, არამედ პარტიული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, სამეურნეო ხელმძღვანელების, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი განყოფილებაც.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებში უეჭველად დიდ როლს ასრულებს პროფილაქტიკა. ამავე დროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საკავშირო პროფსაბჭო, სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ საკმარისად ვერ იყენებენ პროფილაქტიკური მიმართულების შესაძლებლობებს. პროფილაქტიკა ბევრად დეკლარაციული ხასიათისაა და არ ითვალისწინებს ფარ.ოო გამჯანსაღებელ ღონისძიებებს.

საზოგადოებრივი წარმოების გაზრდილი მასშტაბისა და ინტენსიფიკაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟების კომპლექსურ სახელმწიფო და რეგიონალურ პროგრამებს.

როცა მასშტაბური ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელებას მასობრივი პროფილაქტიკური მუშაობის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ, უნდა უზრუნველვყოთ დასახლებული რაიონებიდან საწარმოთა გადატანა, რომლებიც გარემოს გაჭუჭყიანების, ხმაურის წყაროს წარმოადგენენ, აქტიურად დავნერგოთ უნარჩენო და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიები, რომლებიც ეკონომიკებავს მავნე გამონაფრქვევებს. არ უნდა დავუშვათ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების გადაცემა და ექსპლოატაცია საწმენდ ნაგებობათა და სანიტარიულ-დამცავ ზონათა შეუქმნელად. ყველგან დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი ხარისხიან სასმელ წყალზე. განვახორციელოთ გადაუდებელი ღონისძიებანი ჰაერის აუზის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. შემოვიღოთ უფრო მკაცრი ეკონომიკური სანქციები იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს. გავზარდოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმოფხვრის ეფექტიანობის ეკონომიკური ინტერესი. ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტებ

II. მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესება ჯანმრთელობის დაცვის მთავარი ამოცანაა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მთავარი ამოცანაა მაღალხარისხოვან სამედიცინო დახმარებაზე საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილების დროული, სრული და საყოველთაო დაკმაყოფილება. ამ მიზნით ძირეულად უნდა გარდაიქმნას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობა მუშაობის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, ახალი ტექნოლოგიების, პროფილაქტიკის, მკურნალობის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების აქტიური გამოყენებით. ამასთან უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ინტენსიური გზაზე გადასვლა და მისი საქმიანობის შეფასება საბოლოო შედეგების მიხედვით.

გაითვალისწინონ ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი რგოლის — ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ქსელის დაჩქარებული განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითი განმტკიცება, ქსელისა, რომელიც ყოველდღიურ დინამიკურ მეთვალყურეობას უწევს ჯანმრთელობასა და ავადმყოფებს, უზრუნველყოფს პროფილაქტიკური, სამკურნალო-დიაგნოსტიკური და გამჯანსაღებელი ღონისძიებების ფართო კომპლექსის განხორციელებას.

ჰოსპიტალამდელ ეტაპზე მოზრდილთა და ბავშვთა შორის დიაგნოსტიკის უფრო სრული და დროული მოწყობის მიზნით უნდა შევქმნათ დიაგნოსტიკური ცენტრების ქსელი, სადაც თავი უნდა მოვუყაროთ თანამედროვე და დიდად ეფექტიან მოწყობილობასა და სამედიცინო ტექნიკას — კომპიუტერულ ტომოგრაფებს, პარატებს კვლევის ულტრაბგერითი და რენტგენოკონტრასტული და სხვა მეთოდებისათვის, აგრეთვე ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების კადრებს.

შექმნან მეცამეტე ხუთწლედის დამლევამდე დიაგნოსტიკური ცენტრები ყოველ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში. პოლიკლინიკური საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური სამსახურის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის სრულად გამოიყენონ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მრავალპროფილიანი საავადმყოფოების პოტენციალი.

გაზარდონ იმ პირთა რიცხვი, რომელთაც პოლიკლინიკებში და შინ სინჯავენ და მკურნალობენ. გარდაქმნან დისპანსერების მუშაობა, უზრუნველყონ მონაცვლეობა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებთან მათს მუშაობაში. განაგრძონ პოლიკლინიკებთან აქტიური მკურნალობის განყოფილებებისა და შინ სტაციონარების შექმნის პრაქტიკა, ამასთან გამოიყენონ დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, უფასოდ გამოიყოს მედიკამენტები.

მნიშვნელოვნად გააქტიურონ პოლიკლინიკებისა და დისპანსერების მუშაობა დაავადებათა პროფილაქტიკისა და მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის, გაალიერონ მათი როლი ავადმყოფთა სამედიცინო-სოციალურ რეაბილიტაციაში და უზრუნველყონ ამ დაწესებულებათა საქმიანობა. დაასრულონ 1990 წლისათვის ყველა პოლიკლინიკაში პროფილაქტიკისა და აღდგენითი მკურნალობის განყოფილებების (კაბინეტების) ორგანიზაცია. გაუწიონ მშრომელებს საავადმყოფოს გარეთ დახმარება უპირატესად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს საწარმოო დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

გაზარდონ უბნის ექიმის — იმ ძირითადი სპეციალისტის როლი, რომელიც ახორციელებს სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამჯანსაღებელი ღონისძიებ ე ბ ი ს კომპლექსს, სისტემატურად ადევნებს თვალს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. შეუქმნან მას ნაყოფიერი საქმიანობის საჭირო პირობები.

ამბულატორიულ-პოლიკ ლ ი ნ ი კური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ მოსამსახურეები მოსახლეობის წინადადებები ტერიტორიული საექიმო უბნების კონტინგენტების ფორმირებისას.

განაზორციელონ „ოჯახის ექიმის“ პრინციპით სამედიცინო დახმარების გაწევაზე თანდათანობით გადასვლის კურსი.

სამედიცინო დახმარების გაწევაში მონაცლეობის უზრუნველსაყოფად მოახდინონ დოკუმენტაციის უნიფიცირება, შემოიღონ სსრ კავშირის თითოეული მოქალაქისათვის სამედიცინო პასპორტი. გაათავისუფლონ ექიმები მათთვის უჩვეულო ფუნქციებისაგან, მათი მეცადინეობა მოახმარონ პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებულ უშუალო მუშაობას.

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს ცალკეულ სახეობათა სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი, მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში ყოველ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრში შეიქმნას სამეურნეოანგარიშიანი პოლიკლინიკა, მათ შორის სტომატოლოგიური და ფიზიოთერაპიული, აგრეთვე კოსმეტოლოგიური სამკურნალოები და გამჯანსაღებელი კომპლექსები.

მოსახლეობის სტაციონარული დახმარების გაუმჯობესების ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს მრავალპროფილიანი საავადმყოფოებისა და სპეციალიზებული ცენტრების ქსელის განვითარება, სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ორგანიზაციაში. გაზარდონ ანესთეზიოლოგიის, რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებების (პალატების), აღდგენითი მკურნალობისათვის განკუთვნილი საავადმყოფოებისა და განყოფილებების რიცხვი. შეიქმნას სტაციონარები ავადმყოფთა დღისით ყოფნისათვის, სამეურნეოანგარიშიანი და საბიუჯეტო, მათ შორის სპეციალიზებული პანსიონატები იმ პირთათვის, რომლებსაც მუდმივი მოვლა სჭირდებათ.

განავითარონ სანატორიულ-საკურორტო დახმარების სარეაბილიტაციო მიმართულება, შექმნან ყველა რეგიონში სანატორიუმები და განყოფილებები იმ ავადმყოფთა მკურნალობის დამთავრებისათვის, რომლებმაც გადაიტანეს მწვავე მიოკარდის ინფარქტი, გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების ოპერაციები, რასაც შედეგად მოჰყვა მძიმე ტრავმები და სხვ. გაზარდონ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ეფექტიანობა. გაადაფართოონ ისეთი ავადმყოფებისათვის გაჯეფილი სპეციალიზებული სანატორიუმების ქსელი, რომლებსაც ეს სჭირდებათ. გაადაფართოონ ბავშვთა სანატორიუმების, წლიური სანატორიული პიონერული ბანაკების ქსელი; შრომითი კოლექტივების თანხმობით უფრო ფართოდ გამოიყენონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სანატორიუმ-პროფილაქტ ო რ ი უ მები ორსული მუშა ქალებისა და ბავშვების გასაჯანსაღებლად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირო სამინისტროებმა და საავტონომიო რესპუბლიკებმა ორგანიზაციულ-ტექნიკის გაუმჯობესების, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების, სამედიცინო და საექიმო ექსპერტიზის ხარისხის ამაღლების საფუძველზე.

მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის შემდგომი შემცირების, სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების უთუო პირობაა მის სპეციალიზებულ სახეობათა განვითარება და განმტკიცება. საამისოდ უნდა შეიქმნას საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქთაშორისო (რეგიონალური) ცენტრების ქსელი მიკროქირურგიის, ელექტროკარდიოსტიმულაციის, სახსრების პროტეზირების, ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის, გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის, თირკმელების ქრონიკული უკმარისობისა და სხვა სნეულებებით დაავადებულთა მკურნალობის განყოფილებებითა და ფილიალებით.

დაასრულონ მეთორმეტე ხუთწლედში კარდიოლოგიური დისპანსერების შექმნა ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრში, გაზარდონ პოლიკლინიკებში კარდიოლოგიური კაბინეტების, სტაციონარებში განყოფილებების რაოდენობა.

უზრუნველყონ ონკოლოგიურ ავადმყოფთა ეფექტიანი მკურნალობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალ ავთვისებიან წარმონაქმნთა აღრეულ გამოვლინებას დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ეტაპობრივი ტრანსპორტირების ინტეგრაციისა და რეგიონალური საუწყებათაშორისო პროგრამების შემუშავების საფუძველზე.

ნაადრევი მშობიარობის თავიდან აცილების, ახალშობილთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით მრავალპროფილიან საავადმყოფოებში შეიქმნას სპეციალიზებული განყოფილებები (პალატები) ორსული ქალებისათვის, რომლებსაც დაავადებული აქვთ გული, ფილტვები, თირკმელები, ენდოკრინული სისტემა. განაგრძონ პათოლოგიური ორსულობის მქონე ქალებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სამშობიარო სახლებისა და განყოფილებების ქსელის განვითარება. უფრო ფართოდ გამოიყენონ სამკურნალო დაწესებულებებში იმ დედების ყოფნა, რომლებიც ჰოსპიტალიზებული არიან ავადმყოფი შვილების მოსავლელად, მათი დაავადებების სამკურნალოდ.

გარდაქმნან აბორტების აპროფილაქტიკისათვის ქალთა კონსულტაციების მუშაობა და მხედველობაში მიიღონ ორსულობის თავიდან აცილების თანამედროვე მეთოდების ფართოდ დანერგვა. მოაწყონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში, ბაზარდონ პოლიკლინიკებში კარდიოლოგიური კაბინეტები და ბავშვთა აღდგენითი მკურნალობის ცენტრები. შექმნან სამშობიარო სახლებსა და ბავშვთა საავადმყოფოებში დედისა და შვილის ერთად ყოფნის პირობები.

განავითარონ ქალებისა და ბავშვებისათვის მოძრავ სახეობათა სასწრაფო დახმარების გაწევა. შექმნან დიდ მრავალპროფილიან ბავშვთა საავადმყოფოებთან და სამშობიარო სახლებთან, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურებთან ახალშობილი და დღენაკლული ბავშვების, ადრეული ასაკის ბავშვების, მშობიარობისა და მისი შემდგომი პერიოდის პათოლოგიის მქონე ქალების ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის სპეციალიზებული ბრიგადები. გითვალისწინონ ბავშვებისათვის დღის სტაციონარების ქსელის შექმნა. უზრუნველყონ 1995 წლისათვის სხვადასხვა სახეობის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით ბავშვები, რომლებსაც ეს სჭირდებათ. გაადაფართოონ ბავშვთა სანატორიუმების, წლიური სანატორიული პიონერული ბანაკების ქსელი; შრომითი კოლექტივების თანხმობით უფრო ფართოდ გამოიყენონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სანატორიუმ-პროფილაქტო რ ი უ მები ორსული მუშა ქალებისა და ბავშვების გასაჯანსაღებლად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივ საბჭოთა დეპუტატთა საბჭოებმა, ტერიტორიულ-საწარმოო ერთეულებმა, ადგილობრივ ინდუსტრიულ საწარმოებმა, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ინფორმაციის, ეკონომიკურ-სამართლებრივ ინსტიტუტებმა, ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნ

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი მიმართულებანი

(გაგრძელება)

და სოფლის მეურნეობის საწარმოებში საჭირო რაოდენობის სპეციალური უბნები ფსიქიკის დარღვევების მქონე ავადმყოფთა სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციისათვის. შექმნან დიდ ქალაქებში სპეციალიზებული სამედიცინო სამსახური ტელეფონით სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების გაწევისათვის — „ნდობის ტელეფონი“.

ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა, რათა დროულად გამოვლინონ და ეფექტიანად უმკურნალონ ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულ პირებს. 1990 წლამდე დაამთავრონ ნარკოლოგიური დისპანსერებისა და კაბინეტების, აგრეთვე განყოფილებათა ქსელის ფორმირება სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დაკომპლექტონ ისინი კვალიფიციური კადრებით. შექმნან ანონიმური მკურნალობის სამეურნეოანგარიშიანი ნარკოლოგიური ამბულატორიები და კაბინეტები.

განამტკიცონ და განავითარონ პულმონოლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ჰემატოლოგიური და სხვა სახეობათა სპეციალიზებული დახმარება.

კიდევ უფრო განავითარონ და სრულყონ სამკურნალო-დიაგნოსტიკური სამსახურების მუშაობა, მათი რიცხვი და სიმძლავრე შეუსაბამონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მოთხოვნებს. განაახორციელონ სისხლის სამსახურის განვითარებისა და დონორთა მოძრაობის წახალისების კონკრეტული ღონისძიებანი.

არსებითად აამაღლონ ხანდაზმულთა და მოხუცებულთა, ინვალიდთა, მათ შორის ბავშვობიდან ინვალიდთა სამედიცინო დახმარების დონე და ხარისხი. სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების დაწესებულებებთან ურთიერთმოქმედებით განაზორციელონ მწყურალების სამსახურის განვითარების, ინვალიდების, ომისა და შრომის ვეტერანების, აგრეთვე მარტხელა ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეთა სოციალური დახმარების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტიური ღონისძიებანი.

III. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ავიყვანოთ სამედიცინო კადრების მომზადება, აღზრდა და შრომის ორგანიზაცია

ჯანმრთელობის დაცვის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკების კომპეტენტურობაზე, პროფესიონალიზმზე, იდეურ-ზნეობრივ სახეზე და ყოველივე მოწინავის, პროგრესულის ერთგულებაზე, იმის მისწრაფებაზე, რომ გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ექიმს ანდობენ ყველაზე ძვირფასს — საბჭოთა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. პუმანურობა და კეთილშობილება, თავდადება და გულმოწყალება, იმის უნარი, რომ მთელი თავისი ცოდნა და ძალ-ღონე მოახმაროს ავადმყოფის ინტერესებს, ცოდნის ნიადაგ სრულყოფა ექიმისათვის უბრალოდ ის ღირსებები კი არ არის, რომელთა გამოც პატივსცემას იმსახურებს პიროვნება, არამედ ის თვისებებია, რომლებიც განსაზღვრავს მის პროფესიულ და მოქალაქეობრივ სიმწიფეს. საბჭოთა ექიმი ყველზე მოწონივე კომუნისტური მსოფლმხედველობის მატარებელია. იგი უნდა გამოირჩეოდეს მაღალდეური მორწმასით, სოციალისტური საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობით, შეგნებული ჰქონდეს თავისი პროფესიის სოციალური მნიშვნელობა.

ჩვენს ქვეყანაში ექიმის შრომას დიდად აფასებს ხალხი, იგი დამსახურებული ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს. ექიმების დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად იხდის თავის მოქალაქეობრივ და პროფესიულ ვალს. კვლავაც უნდა ავაღლოთ მედიცინის მუშაკთა პრესტიჟი, შეეშალნა ხარისხიანი და შემოქმედებითი მუშაობის პირობები, ჩავუნერგოთ მოსახლეობას თათი შრომის ღირსი პატივისცემა.

ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნა, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის გაძლიერება ახალ მოთხოვნებს უყენებს მედიცინისა და ფარმაცევტიკის კადრების პროფესიულ ოსტატობას, მათს ზნეობრივ სახესა და მუშაობის ორგანიზაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ავადმყოფობათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარების საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუკეთესო ხარისხი და საბჭოთა კავშირის ექიმისათვის ფიცის ერთგულების ჩანერგვა სამედიცინო განათლების უმთავრესი ამოცანაა.

ამ მიზნით უნდა სრულყოთ სრულყოფილებამდე ამაღლებული სამედიცინო სასწავლებლებში პროფესიულად ორიენტირებული ახალგაზრდობის მიღების სისტემა. უმაღლესი სასწავლებლები დავაკომპლექტოთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობის სტაჟის მქონე პირებით, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებიც მოწოდებული არიან დაეუფლონ ექიმის პროფესიას. გავაფართოოთ მოსწავლეთა სწავლება სამედიცინო პროფილების სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, გამოვიყენოთ მათი შრომა ავადმყოფების მოსავლელად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. მათზე, აგრეთვე სამედიცინო და ფარმაცევტული უმაღლესი სასწავლებლებისა და სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტების სასწავლო-დამხმარე პერსონალზე (ლაბორანტები, პრეპარატორები და სხვები), გავავიროთ ამ უმაღლეს სასწავლებელში მიღების პირობები, რომლებიც დადგენილია პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე პირებისათვის. დავამთავროთ მეთორმეტე ხუთწლედში მოსამზადებელ განყოფილებათა დაარსება ყველა სამედიცინო და ფარმაცევტულ ინსტიტუტთან, გავაფართოოთ ჯანდაცვის მუშაკთა მომზადების მიზნობრივი ფორმები, შევუსაბამოთ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მიღების კონტინგენტები კადრებზე არსებულ მეცნიერულად დასაბუთებულ მოთხოვნილებას.

შევცვალოთ ექიმების მომზადების სისტემა, რისთვისაც ორიენტირად დავიასახოთ ზოგადი პრაქტიკის ექიმთა მომზადება. პერიოდულად გადავსინჯოთ საკვალიფიკაციო დახასიათებები, სასწავლო გეგმები, ზოგადთეორიული, სამეცნიერო-ბიოლოგიური, კლინიკური და ჰიგიენური დისციპლინების სავალდებულო შინაარსი, საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია, სტუდენტთა ცოდნის კონტროლის სისტემა, მაქსიმალურად მივუახლოოთ სწავლება პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებებს. გავითვალისწინოთ მომავალ ექიმთა პროფესიული მომზადების მოცულობის ზრდა და კლინიკური დისციპლინების უფრო ადრეული შესწავლა ერთიანი პროგრამების მიხედვით; სხვადასხვა სახეობის მეცადინეობათა შორის თანაფარდობის შეცვლა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას და მათ მიერ პრაქტიკული ჩვევების დაუფლებას, კერძოდ, სწავლების თანამდროვე და პერსპექტიული სამედიცინო ტექნიკის გამოყენებით; სანგანთა სიმრავლის შემცირება მონათესავე სასწავლო კურსების გაერთიანებისა და გამსხვილების გზით; საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პროფესიული მიზანმიმართულობის გაძლიერება სამედიცინო და ფარმაცევტულ უმაღლეს სასწავლებლებში; 1988/89 სასწავლო წლიდან მეორე და მეხუთე კურსებზე გადასვლაანი სახელმწიფო გამოცდების შემოღება სტუდენტთა ატესტაციოლთან; საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების მქონე პირთა სწავლება სპეციალური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

ავამაღლოთ მომთხოვნელობა სტუდენტთა ცოდნის სიღრმისა და ხარისხისადმი. შევქმნათ სტუდენტურ კოლექტივებში შემოქმედებითი აქტიურობისა და ცოდნის დაუფლებაში შეჯიბრების ვითარება. მტკიცედ მოვიშოროთ თავიდან პირველ კურსებზევე სტუდენტები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სწავლას.

ექიმთა და პროვიზორთა მომზადების დამამთავრებელი სტადია წარვმართოთ თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ჯანდაცვის დაწესებულებებში. გავაძლიეროთ სუბორდინატურისა და ინტერნატურის ეფექტიანობა, ამასთან ახალგაზრდა სპეციალისტებს მიზნად დავუსახოთ ღრმად დაეუფლონ ცოდნასა და ჩვევებს არჩეული სპეციალობის მიხედვით.

შევქმნათ ორგანიზაციული პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების, პრაქტიკული ჯანდაცვისა და მეცნიერების ინტეგრაციას. ჩამოვაყალიბოთ სამედიცინო სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანებანი დიდი საავადმყოფოებითურთ, განვალგოთ პროფესიური კათედრები სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ბაზაზე.

შევიმუშაოთ და სამოქმედოდ შემოვიღოთ 1988/89 სასწავლო წლიდან ტიპობრივი დებულებანი სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა. დაწესებულებებისათვის, რომლებიც გამოიყენება სპეციალისტთა მოსამზადებლად, სტუდენტთა პრაქტიკის, ექიმთა ინტერნატურისა და სპეციალიზაციის მოსაწყობად. ავამაღლოთ სახელმწიფო გამოცდების მნიშვნელობა და გავაუმჯობესოთ მათი ორგანიზაცია. შემოვიღოთ დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობისათვის მომზადავალ ექიმთა მზადყოფნის კომპლექსური ატესტაცია როგორც ამ საქმიანობის ნების დართვის საკვალიფიკაციო პირობა. უზრუნველვყოთ ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ერთიანი მოთხოვნები ერთიანდამთავრებელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონისადმი. შევიყვანოთ სახელმწიფო საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში პრაქტიკული ჯანდაცვის წარმომადგენლები. მივცეთ ამ კომისიებს უფლება დაფიქრდეს საკითხი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის სშუალო სამედიცინო მუშაკთა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ ჩაბარებენ სახელმწიფო გამოცდებს. გავითვალისწინოთ, რომ მათ შეეძლებათ მიიღონ ექიმის დიპლომი განაწილების ადგილის მიხედვით მუშაობიდან ერთი წლის შემდეგ იმ პირობით, თუ ხელახლა ჩაბარებენ სახელმწიფო გამოცდებს.

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ძირეულ გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საშუალო და უმცროს მედიცინის მუშაკებს, ფერშალი, მედდა, ფარმაცევტი, სანიტარი მარტოოდენ ექიმის მარჯვენა ხელი კი არა, ჯანდაცვის საყრდენი რგოლიც არის. მათი მუშაობა მოითხოვს ექიმის დანიშნულებათა ზუსტ შესრულებას, ყურადღებიანობას, სიყოჩაღეს ძნელ სიტუაციებში, თანაგრძნობას, გულისხმიერებასა და გულმოწყალებას.

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების სირთულე წინა პლანზე აყენებს საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გადავსინჯოთ სასწავლო გეგმები და სასწავლებელთა პროგრამები, გავზარდოთ საწარმოო პრაქტიკის მოცულობა, თანამედროვე მოწყობილობით, ტექნიკით, მცირე მექანიზაციის საშუალებებით მუშაობის ხერხებისა და მეთოდების სწავლების მოცულობა. აღმოვფხვრათ საშუალო და უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების სპეციალისტთა მომზადებაში შექმნილი დისპროპორციები.

ახალგაზრდა სპეციალისტთა ცოდნის დონეს განსაზღვრავს უწონარესად პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაცია. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სრულყოთ მუშაობა პედაგოგიური კადრების შერჩევის, გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციისათვის. მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად შემოვიღოთ სტაჟირება წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და კლინიკებში, უფრო ფართოდ ჩავბათ მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლებაში წამყვანი მეცნიერები, სპეციალისტები და ჯანდაცვის ორგანიზატორები.

განვახორციელოთ ღონისძიებანი მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ნიადაგ სრულყოთ იდეურ-აღმზრდელობითი და მეთოდოლოგიური მუშაობა, უპირველესი ყურადღება დავუთმოთ მათთვის პროფესიული და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებას. მოვაწყოთ 1988-90 წლებში სამედიცინო და ფარმაცევტული დისციპლინების ატესტაცია, რომლის დროსაც გადავწყვეტთ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის კატეგორიის შეცვლის, ცალკეულ ფაკულტეტებზე მიღების შემცირების და დახურვის საკითხი.

პრაქტიკულად შემოვიღოთ სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ახალი სახელმძღვანელობის შესაქმნელად კონკურსების მოწყობა, გავზარდოთ ამ სახელმძღვანელოების ტირაჟი მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების მიზნით. უზრუნველვყოთ საკმარისი რაოდენობის საცნობარო და ენციკლოპედიური ლიტერატურის სისტემატური გამოშვება. გამოვცეთ 1988-91 წლებში სპეციალური ენციკლოპედიები ამბულატორიულ-პოლიკლინიკური რგოლის ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის. 1993-2000 წლებში განვახორციელოთ დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის ახალი გამოცემის გამოშვება.

გარდავქმნათ სამედიცინო და ფარმაცევტული კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. მივიღოთ ქმედითი ღონისძიებანი ექიმთა და პროვიზორთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების შემდგომი განვითარებისათვის. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ყურადღება მივაპყროთ სწავლების აქტიური მეთოდების, ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობის მოწონავე გამოცდილების, ახალი მეცნიერული ნამუშევრების დანერგვას. გავზარდოთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად გასაგზავნი სპეციალისტების, უწონარესად, ჯანდაცვის პირველადი რგოლის, ბავშვთა და სამშობიარო დაწესებულებების მუშაკთა კონტინგენტები.

დავაინტერესოთ მედიცინის მუშაკები ცოდნის განუწყვეტელი შევსება ვანახლებინთ, რისთვისაც უშუალოდ დავუქვემდებაროთ მათი ხელფასი პროფესიულ კომპეტენტურობას. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ამ მიზნით სპეციალისტთა პერიოდული ატესტაცია, რომელსაც საფუძვლად უნდა დადეოს მათი პროფესიული მომზადების, მუშაობის შედეგების, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვის, მორალურ-ეთიკური თვისებებისა და იდეურ-პოლიტიკური მოწიფულობის შეფასება. შემოვიღოთ კვალიფიკაციური კატეგორიების მიკუთვნების საკონკურსო სისტემა შრომითს კოლექტივებში კანდიდატთა ფართო განხილვით. გავაძლიეროთ ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა და მთავარ სპეციალისტთა პასუხისმგებლობა ატესტაციის ხარისხისათვის, აღმოვფხვრათ ფორმალიზმი მისი მოწყობისას, უზრუნველვყოთ საატესტაციო კომისიათა მუშაობის ფართო საჯაროობა.

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაონ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა დისციპლინური წესდება. გამოვუცხადოთ შეურიგებელი ბრძოლა უპასუხისმგებლობას, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკის მაღალ წოდებას. მოვაგვაროთ იურიდიული ხასიათის საკითხები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ ამ პირობა ექიმის და პროვიზორის დიპლომი.

აღვკვეთოთ ბიოსპორორიკები ქვეყნის ცალკეული რეგიონების სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფაში, დავაკომპლექტოთ ამ კადრებით ჯანდაცვის უმნიშვნელოვანესი უბნები: ბავშვთა და სამშობიარო დაწესებულებანი, პოლიკლინიკები, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურები და განყოფილებები, საავადმყოფოები, ამბულატორიები და აფთიაქები სასოფლო რაიონებში. ჯანდაცვის მუშაკთა დამკვიდრების მიზნით შევუქმნათ მათ საჭირო საწარმოო და საბინაო პირობები, სრულად მივანაჭოთ კანონმდებლობით დაწესებული უპირატესობანი და შეღავათები.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა დადგენილი წესით გადაწყვიტოს ის საკითხი, რომ ადუდიდეთ დამატებითი შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღემდე ჯანდაცვის დაწესებულებათა მედიცინის და აფთიაქარ მუშაკებს.

რჩევა მიეცეთ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითს კოლექტივებს გამოუყონ უშუალოდ ამ შრომითი კოლექტივების მომსახურე ექიმებს, პროვიზორებს, სამეცნიერო მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკებს საცხოვრებელი ფართობი, ადგილები საერთო საცხოვრებლებში, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, პიონერთა ბანაკებში, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებში. მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა აქტიური პრაქტიკული დანერგვისათვის მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმები.

განვაგრძოთ მუშაობა ჯანდაცვის ყველა რგოლის ხელმძღვანელთა კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის. სისტემატურად ავამაღლოთ მათი საკმაოდ კვალიფიკაცია, ვიღაცოთ, რომ ისინი ღრმად დაეუფლონ ჯანდაცვის მართვისა და ეკონომიკის საფუძვლებს, შექმნან კოლექტივებში დიდი მომთხოვნელობის ვითარება, პროფესიული მოვალეობის შესრულების ხელშემწყობი პირობები, განავითარონ ინიციატივა, დამრიგებლობა, სოციალისტური შეჯიბრება. უზრუნველვყოთ ხელმძღვანელი კადრების ქმედითი რეზერვის მომზადება.

ჯანდაცვის კადრებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მოწონავე გამოცდილების და პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების პრაქტიკული დანერგვის პროპაგანდის დონის ამაღლების მიზნით გავზარდოთ „მედიცინსკაია გაზეტას“ მოცულობა და გამოსვლის პერიოდულობა.

გავაუქმებესოთ ჯანდაცვის მუშაკთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობები. მოვაწყოთ მათთვის სანიტარიულ-ყოფითი ოთახები, სასადილოები, ბუფეტები, მომსახურების პუნქტები, დასასვენებელი ოთახები, ფსიქოფიზიოლოგიური განტვირთვის კაბინეტები. გავზარდოთ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების საშუალებების რაოდენობა, განვაფართოოთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, საერთო საცხოვრებლების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი ბაზების, სპორტულ-ჯანმრთელობელი კომპლექსების, კლუბების, კულტურის სახლების, პიონერთა ბანაკების ქსელი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, სოოლქო საბჭოების აღმასკომებმა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების განხილვისას გაითვალისწინონ ამ მიზნით კაპიტალური დაბანდების ლიმიტების გამოყოფა.

ჯანდაცვის მუშაკები მოწოდებული არიან ყოველ შრომითს კოლექტივში შექმნან შემოქმედებითი აქტიურობის, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესების, თერმობრივი ფენა ომის საფრთხის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის ექიმთა ძალისხმევის გაერთიანების ახალი გზების ძიების ატმოსფერო.

IV. აქტიურად განვავითაროთ მედიცინის მეცნიერება, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მისი მიღწევები ჯანდაცვის პრაქტიკაში

ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაში, სამედიცინო დახმარების გაწევის პრინციპულად ახალი საშუალებებისა და მეთოდების შექმნაში, საბჭოთა ადამიანების ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში წამყვან როლს ასრულებს მედიცინის მეცნიერება. მან მტკიცე ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში. მაგრამ მისი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად როდი გამოიყენება უმნიშვნელოვანესი ამოცანის — ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების, მათი აქტიური ცხოველმყოფების გახანგრძლივების ამოცანის გადასაწყვეტად. ნაკლებად მიმდინარეობს დიდი კომპლექსური გამოკვლევები, რომლებიც ჯანდაცვის კოორდინაციური პრობლემების ეადაჭრასთან არის დაკავშირებული. ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის ხარისხი დაბალ დონეს ვერ აცილებია. დაისახა ჩამორჩენა იმუნოლოგიის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის, ტრანსპლანტოლოგიის, ჰემატოლოგიის, ფარმაკოლოგიის ფუნდამენტური კვლევის დარგში. სამედიცინო პრაქტიკაში ნელა მიმდინარეობს თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა რეალიზაცია, რასაც განაპირობებს მეცნიერული ნამუშევრების დაგეგმვა-დაფინანსებაში არსებული ფორმალიზმი, მიმდინარე კვლევაზე სოციალური შეკვეთის უქონლობა, ნაკლები მომთხოვნელობა მეცნიერული ნამუშევრების საბოლოო მედეგების ხარისხისადმი.

მსოფლიო მედიცინის მიღწევები, ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტენსიურად განვითარებადი დარგების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვის პრაქტიკაში პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდებისა და საშუალებების დროული და ფართო დანერგვა შეიძლება უზრუნველვყოთ მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრებით აღჭურვილი სპეციალიზებული ქვედანაყოფების შექმნისა და დახმარგვის პროცესის მატერიალური სტიმულირების გზით.

მომწიფდა საჭიროება ძირეულად გარდაქმნას მედიცინის მეცნიერების მართვა, მეცნიერული საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზაცია, მიენიჭოს ამ პროცესებს კონკრეტული, მიზნობრივი ხასიათი. კვლევითი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ჯანდაცვის სოციალური შეკვეთების შესაბამისად. მეცნიერთა ძალისხმევა მოვახმაროთ ძირითადად ფუნდამენტურ სამედიცინო-ბიოლოგიურ, კლინიკურ, ეპიდემიოლოგიურ და სოციალურ-ჰიგიენურ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებმა რადიკალურად უნდა გადაგვაჭრევინოს პრაქტიკული ჯანდაცვის პრობლემები და, უწონარესად, გამოგვაკლინოს დაავადებათა მიზეზები მათი პროფილაქტიკის, ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. მეცნიერების უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს სამედიცინო-სოციალური პრობლემების შესწავლა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დინამიკის ანალიზი დემოგრაფიულ ძვრებთან, წარმოებისა და გარემოს ცვალებად პირობებთან და მიგრაციის პროცესებთან დაკავშირებით, უზრუნველვყოთ ავადობის, დონის პროგნოზირება. გასაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ დადგენა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ნერვულ-ფსიქიკური, ენდოკრინული, ინფექციური, ჰემატოლოგიური, ალერგიული, სტომატოლოგიური დაავადებების თავიდან აცილებასა და მკურნალობას.

წარვმართოთ ძალისხმევა გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიის დარგის მეცნიერული კვლევის, თანამედროვე სამკურნალოსაშალო საშუალებების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზებული სისტემების, გარემოს დისანსიერი და ავტომატიზებული კონტროლის მეთოდების შემუშავებისათვის. გავაძლიეროთ სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციისა და მართვის ახალი პრინციპების შემუშავება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა რეალიზაცია, თანამედროვე საინფორმაციო-საძიებო სისტემათა შექმნა. ყველა ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით წარვმართოთ არა მარტო მედიცინის დარგის სპეციალისტთა, არამედ აგრეთვე სოციოლოგთა, ეკონომისტთა, დემოგრაფთა, მათემატიკოსთა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების წარმომადგენელთა მეცადინეობა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია უნდა გახდეს ქვეყნის ბოელი მედიცინის მეცნიერების ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის ნამდვილი შტაბი და წარმართოს თავისი საქმიანობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან უმჯიდრესი კონტაქტით. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ყოველი სამეცნიერო კოლექტივისა და თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეცნიერული ნამუშევრების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისათვის, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება.

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის დაცვის დარგის ახალი ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ წამოაყენეს, მოითხოვს არსებითად განვამტკიცოთ ჯანდაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღვამჯერვოთ ისინი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და უზრუნველვყოთ სამკურნალოსაშალო პრეპარატებით. ეს მუშაობა უნდა გახდეს სკკპ XXVII ყრილობის იმ მითითებათა რეალიზაციის ორგანული ნაწილი, რომელთა მიზანია ხელი შეეწყოს სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებას.

ამჟამად მოსახლეობას სამედიცინო და სამკურნალოსაშალო დახმარებას უწევს 23 ათასი საავადმყოფო, 40 ათასი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება და 30 ათასი აფთიაქი.

ამასთანავე საავადმყოფო საწოლების თითქმის მესამედი დაწესებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით არის განლაგებული მოუმჯობესებელ შენობებში. ბევრი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ცუდად არის უზრუნველყოფილი სამედიცინო მოწყობილობით, მედიკამენტებით, ინვენტარითა და ავადმყოფთა მოვლის საგნებით.

ჯანდაცვის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის ძირეული გაუმჯობესების მიზნით არსებითად გავზარდოთ მეთორმეტე-მეთოთხმეტე ხუთწლედებში მათი შენებლობისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი. გავზარდოთ საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შენებლობის ხვედრითი კაპიტალური დაბანდება 2-2,5-ჯერ, ამასთან 40 პროცენტამდე გავზარდოთ იმ სახსრების წილი, რომლებიც ხმარდება თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით აღჭურვას. ძირეულად შევცვალოთ კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურა და მოვახმაროთ ისინი უწონარესად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რეკონსტრუქციას, ტექნიკურ განახლებას და დადგენილი სანიტარიული ნორმებისათვის შეთანასწორებას. დაფინანსების მთელი წყაროების ხარჯზე ავამოქმედოთ საავადმყოფოები 1,3-1,4 მილიონი საწოლით და პოლიკლინიკები, რომლებიც ცვლაში 2,9-3,2 მილიონ პაციენტს მოემსახურებიან. ავაგოთ ჯანდაცვის ობიექტები მხოლოდ და მხოლოდ ახალი ტიპობრივი და ინდივიდუალური პროექტებით, რომლებიც შემუშავებული იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით და უზრუნველყოფ ავადმყოფთა მკურნალობისა და პერსონალის ეფექტიანი მუშაობის ოპტიმალურ პირობებს.

უპირატესი ეტაპით განვახორციელოთ სამშობიარო სახლების, ქალთა კონსულტაციების, ბავშვთა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შენებლობა, მოვახმაროთ ამ მიზნებს გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების სულ ცოტა 40 პროცენტი. 1995 წლისათვის მოლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სამშობიარო და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე, ხოლო 2000 წლისათვის სტაციონარულ და ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საოფთიაქო დაწესებულებათა მშენებლობისა და ტექნიკური განახლების მიზნით უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საწარმო-ორგანიზაციათა, საკავშირო კომფინსტიტუტი შაბათობების სახსრები, აგრეთვე საბჭოთა ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდში შემოსული შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების ნებაყოფლობითი შემონატანი.

ჩამოვაყალიბოთ რესპუბლიკურ, სამხარეო და სოოლქო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან, დიაგნოსტიკურ ცენტრებთან, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან პანსიონატები სამეურნეო ანგარიშზე, სადაც დროებით იცხოვრებენ ავადმყოფები და მათი თანმხლები პირნი.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის არსებითი გაუმჯობესების მიზნით საწარმოებისა და მეურნეობების შრომითს კოლექტივებს რჩევა მიეცეთ შექმნან სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები და სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები, აგრეთვე განავითარონ გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სპეციალური სამაქროებისა და უბნების ქსელი მუშაკთა სამედიცინო-სოციალური, პროფესიული და შრომითი რეაბილიტაციის მოსაწყობად. ამასთან უფრო ფართოდ დავნერგოთ რამდენიმე საწარმოს ან ორგანიზაციის სახსრების კოოპერირება.

შრომითი კოლექტივების თხოვნით საწარმო-ორგანიზაციათა ბალანსზე გადავცეთ აშენებული სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები, დავრთოთ ნება დააფინანსონ და შეინახონ ისინი.

არსებითად გავაუმჯობესოთ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება. განვაგრძოთ პრაქტიკა, როდესაც საექიმო ამბულატორიები შენდება აფთიაქებთან და მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკების

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი მიმართულებანი

(დასასრული)

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვნად გაიზარდოს საფინანსო და მატერიალური რესურსები. ამ მიზნით გავითვალისწინოთ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით იმ სახსრების არსებითი მატება, რომლებიც ჯანდაცვის განვითარებას ხმარდება და უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიიჩნიონ ჯანდაცვის დაწესებულებათა საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების დაწესებულ დავალებათა შესრულება უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმედ.

VI. სრულყოთ ჯანმრთელობის დაცვის მართვა

ჯანმრთელობის დაცვის ინტენსიური განვითარება, მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა დაბეჯითებით მოითხოვს ძირეულად სრულყოთ დარგის ხელმძღვანელობა, მისი დაგეგმვა და დაფინანსება დემოკრატიული საწყისების გაფართოებისა და თვითმმართველობის განვითარების, სამეურნეო ანგარიშის, ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობის მოწინავე გამოცდილების, მართვის ახალი ფორმების ფართო მასშტაბის ექსპერიმენტების, მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაყაროთ:

მიზნობრივი და მრავალმიზნობრივი სამედიცინო-სოციალური პროგრამების — ჯანდაცვის პერსპექტიული დაგეგმვის ყველაზე რაციონალური ფორმის — შემუშავებასა და რეალიზაციას;

„ჯანმრთელობის“ სპეციალური დარგობრივი და რეგიონული პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს როგორც შრომითი კოლექტივების, ისე ქვეყნის ცალკეული რეგიონების სამედიცინო-სოციალური განვითარების დაჩქარებას;

ფინანსური, მატერიალური, მეცნიერული და შრომითი რესურსების კონცენტრაციას ჯანდაცვის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით;

სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის თვისებრივი გარდაქმნის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეული განახლების უზრუნველყოფას;

გადასვლას ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაზე არა „საწოლ-ადგილებისა“ და „პაციენტების პოლიკლინიკური მომსახურების“ მიხედვით, არამედ იმ მაჩვენებლებით, რომლებიც ასახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, კერძოდ, ზოგადი და ინფექციური დაავადების, დროებითი შრომის უუნარობის, ინვალიდობის, საკვდილიანობის, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დონეს და სხვა თვისებრივ მახასიათებლებს.

განვახორციელოთ ჯანდაცვის დაფინანსება (კაპიტალური დაბანდების ლიმიტების გარეშე) ცალკეული რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით, ამასთან გავითვალისწინოთ ნორმატივები მოსახლეობის რაოდენობაზე გაანგარიშებით და მხედველობაში მივიღოთ რეგიონის დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თავისებურებანი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით გავზარდოთ სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს, რესპუბლიკური ჯანდაცვის სამინისტროების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის გახაფილებებისა და ცენტრალური რაიონული საავადმყოფოების როლი, გავაფართოოთ მათი უფლებები საფინანსო, საორგანიზაციო, საშტატო საკითხთა გადაწყვეტაში დარგის მიხედვით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. უზრუნველყოთ მართვის ყველა დონეზე მატერიალური, საფინანსო და საკადრო რესურსების მანევრირების შესაძლებლობა.

გავაუმჯობესოთ მმართველობითი შრომის ორგანიზაცია და ტექნიკური აღჭურვა. შევამციროთ საინსტრუქტორო, საარღრცხეო და საანგარიშგების მასალების ოდენობა. ძირფესვიანად აღმოვფხვრათ დუბლირება, ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი დარგის მუშაობაში.

ჯანდაცვის მართვის ორგანოების უპირველეს ამოცანად იქნეს მიჩნეული, რომ უმოკლეს ვადაში გაერკვნენ თითოეული სამედიცინო დაწესებულების მუშაობის მდგომარეობაში, კომპეტენტურად და ობიექტურად შეაფასონ მისი შესაძლებლობანი, ადგილი და როლი რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგად სტრუქტურაში, დასახონ ჯანდაცვის მთელი სისტემის გარდაქმნის ამოცანებიდან გამომდინარე კონკრეტული ღონისძიებანი.

გადავიტანოთ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მუშაობის სამმაგის ცენტრი ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ რგოლსა და საავადმყოფომდელ დიაგნოსტიკაზე. მოვაწყოთ 1988-1991 წლების მანძილზე ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ფართო მასშტაბის ექსპერიმენტი ჯანდაცვის დაწესებულებათა მართვის, დაგეგმვისა და დაფინანსების ახალი ფორმების დასახვიერებლად.

განვამტკიცოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ჯანდაცვის სამხარეო, საოლქო და საქალაქო განყოფილებები, რისთვისაც გავაუქმოთ რაიონული განყოფილებანი ქალაქებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 500 ათასამდეა. სასოფლო რაიონებში გავაძლიეროთ ცენტრალური რაიონული საავადმყოფოებისა და ახალშექმნილი სარაიონთაშორისო სპეციალურებული ცენტრების მაორგანიზებელი როლი. გავაძლიეროთ რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო საავადმყოფოებისა და დისპანსერების, აგრეთვე ჯანდაცვის ორგანოების მთავარი სპეციალისტების პასუხისმგებლობა სპეციალიზებულ სახეობათა სამედიცინო დახმარების მდგომარეობისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

უზრუნველყოთ გრძელვადიანი პროგნოზების, სხვადასხვა სახეობის სამედიცინო დახმარების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის, სამკურნალწამლო პრეპარატებსა და სამედიცინო ტექნიკაზე არსებული მოთხოვნილების მეცნიერული დასაბუთება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ტენდენციების, დემოგრაფიული პროცესების, ქვეყნის რეგიონთა სოციალური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებების, მათი ეკოლოგიური და სხვადასხვა მახასიათებლების გათვალისწინების საფუძველზე.

შევიმუშაოთ ყოველ რეგიონში სამედიცინო დახმარებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ნორმატივები, ჯანდაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა და განლაგების რაციონალური სქემები.

იმ ორგანიზაციათა საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისა და ჯანდაცვის დაწესებულებების სამკურნალწამლო სამუალებებითა და სამედიცინო ტექნიკით მომარაგებას, განვახორციელოთ იმ მაჩვენებლების მიხედვით, აღნიშნულ ნაწარმზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროულობასა და სისრულეს რომ ახასიათებს.

უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების უსწრაფესი დანერგვის, უნიკალური სამკურნალო-დიაგნოსტიკური მოწყობილობის წარმოებისა და გამოყენების ათვისების, მათი შემუშავება-ექსპლოატაციის დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით შეექმნათ დარგშორისი სამედიცინო-ტექნიკური კომპლექსების ქსელი.

სრულყოთ სამეურნეო მექანიზმი დარგში, გავაძლიეროთ მისი მატერიალური როლი ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობის ინტენსიფიკაციასა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებაში. გავაფართოოთ ჯანდაცვის დაწესებულებების ხელმძღვანელთა უფლებები საფინანსო და მატერიალური რესურსების დაგეგმვისა და გამოყენების საკითხებში.

უზრუნველყოთ ჯანდაცვის მუშაკთა ხელფასის შემდგომი დიფერენციაცია და შრომის სტიმულირება. გავაძლიეროთ მისი დანიშნულება, ეფექტიანობა, ინტენსიურობა და ხარისხი, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევაზე. დავნერგოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ნორმები.

ოპერატიული მანევრირებისა და გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ნება დაერთოთ ჯანდაცვის ორგანოებს შექმნან ფულადი სახსრების რეზერვები სამედიცინო დაწესებულებათა შენახვისათვის გამოყოფილი ასიგნებების 5 პროცენტამდე ფარგლებში.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლეგიურობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, პროფილაქტიკურ და გამჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, დადგინდეს, რომ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლეგიურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ნაწილობრივ უნაზღაურებენ ჯანდაცვის ორგანოებს იმ მუშაკთა მკურნალობის ხარჯებს, რომელთა დროებითი შრომისუუნარობა განპირობებულია უხეირო საწარმოო პირობებით. იმ შემთხვევებში, როდესაც დაავადება გამოწვეულია საწარმოო ტრავმებითა და მოწამვლით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით, რაც სატრანსპორტო ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიზეზით მოხდა, აგრეთვე კვების ობიექტებში ეპიდემიასაწინააღმდეგო რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული კვებითი მოწამვლითა და მწვავე კუჭ-ნაწლავის ინფექციებით, ჯანდაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, პროფკავშირულ კონტროტებს მიეცეთ უფლება წარუდგინონ სარჩელი საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს ავადმყოფობა მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის შესაბამისად ნება დაეროთოთ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუდონ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე ხელშეკრულებანი ჯანდაცვის დაწესებულებებს, სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებს, სამედიცინო-კვლევითს ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს იმის შესახებ, რომ გაუწიონ დადგენილ ნორმებზე მეტი მოცულობის სამედიცინო დახმარება მუშაკებსა და მათი ოჯახის წევრებს.

რჩება მიეცეთ კოლმეურნეობებს უფრო ფართოდ გამოიყენონ აღნიშნულ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა.

ჯანდაცვის დაწესებულებებში ასეთი დახმარების გაწევისათვის შემოსული სახსრები არ გადაირიცხება ბიუჯეტში. ხელშეკრულებათა მიხედვით შემოსული სახსრების ნაწილი მოხმარდეს ჯანდაცვის დაწესებულებათა წამახალისებელ ფონდებს.

შესაძლებლად ჩაითვლოს, რომ სამკურნალო დაწესებულებებში სახელშეკრულებო საწყისებით შემოღებულ იქნეს დამატებითი კვება ინდივიდუალური შეკვეთებით სამედიცინო ჩვენებების გათვალისწინებით ავადმყოფთა, მათ ნათესავთა სახსრების ხარჯზე.

რჩება მიეცეს საკავშირო პროფსაბჭოს განახორციელოს ღონისძიებანი სოციალური დაზღვევის ფონდის უფრო რაციონალური გამოყენებისა და მისი იმ ნაწილის ოდენობის ზრდისათვის, რომელიც ხმარდება ავადობის პროფილაქტიკისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების განახორციელონ ღონისძიებანი ჯანდაცვის დაწესებულებათა ტექნიკური და სამეურნეო უზრუნველყოფის (გათბობის, წყალმომარაგების, ლიფტის მეურნეობისა და სხვა სამსახურების მომსახურება) ცენტრალიზაციისათვის.

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ქმედითობის გაძლიერებლად განვახორციელოთ ქვეყნის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მართვის გარდაქმნა, სრულვყოთ მისი საქმიანობის ნორმატიული და სამართლებრივი საფუძველები. გადავცეთ 1988 წელს სსრ კავშირის საშინაქალაქო ავიაციის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები (მათ შორის 1987 წლის 1 ივლისისათვის არსებული შტატები, მატერიალური და ფინანსური რესურსები) სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს. ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 500 ათასაზე მეტია, განვამტკიცოთ საქალაქო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით რაიონული სადგურების გაუქმების ხარჯზე.

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრომ სსრ კავშირის დაინტერესებულ უწყება-სამინისტროთა მონაწილეობით განიხილოს მეთორმეტე ხუთწლედში დადგენილი წესით საკითხი ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ჯანდაცვის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ.

იმისათვის, რომ „მედტექნიკის“ სისტემისა და საოფთიქო სამსახურის მართვის სტრუქტურა შეესაბამოთ თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე დაფუძნებული სამეურნეო მექანიზმის ახალ მეთოდებს, რეორგანიზებულ იქნეს 1988-1990 წლებში „მედტექნიკის“ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სამმართველოები საწარმოო-სავაჭრო გაერთიანებებად, ხოლო რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო საოფთიაქო სამმართველოები — „ფარმაციის“ საწარმოო გაერთიანებებად. უზრუნველყოთ 1991 წლიდან მოყოლებული ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემათა ფართო გამოყენება ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მართვის სხვადასხვა დონისათვის.

* * *

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმის სრულყოფა, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე მათი მოთხოვნილებების საყოველთაო დაკმაყოფილება პარტიისა და მთავრობის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, დროის საჭირბოროტო მოთხოვნაა.

ჯანდაცვის გარდაქმნა ფართო მასშტაბის სახელმწიფო ღონისძიება, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. გარდაქმნის პროცესში უნდა განვავითაროთ ყოველივე საუკეთესო, რისთვისაც მიგვიღწევია სამამულო მედიცინაში, აღმოვფხვრათ დაბრკოლებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე, გავზარდოთ ჯანდაცვის წვლილი სოციალისტური საზოგადოებისა და მისი ეკონომიკის განვითარებაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფის კონკრეტული გეგმები.

ჯანდაცვის გარდაქმნის ძირითადი ღონისძიებანი ეტაპობრივად განხორციელდეს მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე ხუთწლედების მანძილზე.

მოკავშირე რესპუბლიკებ ი ს კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გაძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა დამოიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი. აამაღლონ ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა როლი და პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ყველგან უზრუნველყონ მოსახლეობა ნაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, სწორად შეარჩონ და გაანაწილონ კადრები, განვითარონ დემოკრატიული საწყისები, შექმნან კოლექტივებში პრინციპულობის, შემოქმედებითი აქტიურობის, მუშაობაში ნაღალვანებათა შეუწყნარებლობის, საუკეთესო საბოლოო შედეგებით დაინტერესების ატმოსფერო. მოახმარონ სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა ორგანოებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა იმ საკითხთა უპირველეს გადაწყვეტას, რომლებიც ხელს ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებასთან არის დაკავშირებული.

ყოველი საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება უპირველესი მნიშვნელობის საქმე, ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ჰუმანური და კეთილშობილური მიზანია.

დიდ ქართველ მამულიშვილს

(დასასრული)

დიდი მღელვარებით და მადლიერებით აღიქვამს ქართველი ხალხი იმ გულითადობას, რომლითაც მოსკოველები, დედაქალაქის სტუმრები და საზოგადოებრიობა, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები პატივს მიაგებენ დიდი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი მოაზროვნის, ჩვენი ხალხის უკვდავი გენიის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ოქტომბერში რესპუბლიკაში მოეწყო საყოველთაო-სახალხო ზეიმი, რომელიც მისი დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა. უაღრესად სიმბოლურია, რომ დიდი ქართველი მამულიშვილის იუბილე დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულობას, რევოლუციისა, რომელიც, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე თქვა, გახდა კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლების — წარსულის დიდი ჰუმანისტებისა თუ XIX და XX საუკუნეთა პროლეტარული რევოლუციონერების განმათავისუფლებელი მისწრაფებების მწვერვალი, მათი სანუკვარი ოცნებების ცოცხალი განსახიერება, მან თვალნათლივ წარმოაჩინა ჩვენი წინამორბედების რევოლუციურ-დემოკრატიულ და ჰუმანისტურ იდეალებთან ოქტომბრის იდეების ურღვევი კავშირი.

მთელი თავისი შემოქმედებით ილია ჭავჭავაძე იღვწოდა იმისათვის, რომ ქართველი ხალხი, ქართული ლიტერატურა გაეყვანა პროგრესული მსოფლიო კულტურის ვრცელ სარბიელზე, გაეძლიერებინა მისი ეროვნული ცნობიერება, გამოეხატა ეროვნული ინტერესები, ილია ჭავჭავაძეს ცხადად და არაორაზროვნად გამოაცხადა, თუ ვის მხარეზე იყო მისი კეთილშობილი გული, მაძიებელი გონება, ბასრი კალამი და მგზნებარე სიტყვა.

ბუნება არცთუ ისე ხშირად აჯილდოებს ადამიანს მრავალგვარი ნიჭით, მაგრამ კიდევ უფრო იშვიათად — ამ ნიჭის შესაბამისი ენერგიით.

დიდი ქართველი მამულიშვილი ასეთი ერთიანობის იშვიათ ხორცშესხმად იქცა.

მისთვის სიტყვა საქმეს ნიშნავრიობას. ასეთია ილია ჭავჭავაძის მდიდარი სულიერი მემკვიდრეობაც, რომელსაც განსაკუთრებული, განუმეორებელი, მხოლოდ მისი კუთვნილი ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში.

ცოტაა იმის თქმა, რომ იგი იყო და კვლავაც არის დიდებული მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, რედაქტორი და ლიტერატურათმცოდნე, რეფორმატორი და განმანათლებელი, რომ საუხოოდ ერკვეოდა ისტორიის, სოციოლოგიის, პედაგოგიკის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ფინანსების ურთულეს საკითხებში — იგი უმთავრესად იყო თავისი ერის სულიერი ბელადი და იდეური მოძღვარი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი, რომელსაც, ისე როგორც არავის, უნარი შესწევდა ეგრძნო დროის მაჯისცემა, ყოფილიყო სხვებზე უფრო მორსმჭვრეტელი, გონების თვალით გაეკვალა მომავალი თაობებისათვის ნათელი და ბედნიერი მომავლის გზა.

ილია ჭავჭავაძე საქართველოში, ყვარელში დაიბადა, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწორედ აქ აღანთო იგი ბობოქარი „კოლოკოლისა“ და „სოვრემენიკის“ ეცეცხლმა. მან შეისისხლხორცა მარქსამდელი პერიოდის საზოგადოებრივი აზროვნების ყველა სიუკეთესო მიღწევა, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავის თანამებრძოლებთან — ქართველ სამოციანელებთან ერთად შერწყმოდა იმპერიალიზმის ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ამავე დროს ილია ჭავჭავაძის რევოლუციური დემოკრატიზმი ითავსებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ გამოყოფდა რევოლუციურ-დემოკრატიულისაგან. მას ვერ წარმოედგინა ერთვნული თავისუფლება სოციალური თავისუფლების გარეშე.

ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტი რევოლუციონერი იყო, რამეთუ სურდა მაშინდელი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური წყობის სრული განახლება.

ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტი დემოკრატი იყო, რამეთუ ოცნებობდა თავის ქვეყანაში ყველა კლასისა თუ წოდების ადამიანთა თანასწორობაზე, საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე და ამასთან ითვალისწინებდა არა ერთი კლასის ინტერესებს, არამედ მთელი ერის გულისთქმას.

ეს არ ნიშნავს, თითქოს, ილიას არ ესმოდა, რომ შეუძლებელია ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ინტერესების შერიგება, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება, კაპიტალისტური წყობილება მანკიერია.

მხურვალედ მიესალმა რა პირველ რუსულ რევოლუციას და ენერგიულად გამოესარჩლა აჯანყებულ გურულ გლეხებს, ილია ჭავჭავაძემ ცხადად და არაორაზროვნად გამოაცხადა, თუ ვის მხარეზე იყო მისი კეთილშობილი გული, მაძიებელი გონება, ბასრი კალამი და მგზნებარე სიტყვა.

ბუნება არცთუ ისე ხშირად აჯილდოებს ადამიანს მრავალგვარი ნიჭით, მაგრამ კიდევ უფრო იშვიათად — ამ ნიჭის შესაბამისი ენერგიით.

დიდი ქართველი მამულიშვილი ასეთი ერთიანობის იშვიათ ხორცშესხმად იქცა.

მისთვის სიტყვა საქმეს ნიშნავდა, ეზრუნა ხალხური მუსიკის, ხალხური შემოქმედების აღორძინებისათვის, სახვითი ხელოვნების ახალი ძალების აღზრდისათვის, შესდგომოდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების შეროვებასა და შესწავლას. სახალხო-განმათავისუფლ ებ ელ ი მოძრაობისა და განმ ა ნ ა თ ლებლობის ბურჯად იქცა მის მიერ დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც მოგვიანებით აგრეთვე ჟურნალად გადაკეთდა.

მარტო ეს იკმარებდა, რათა სრულად გაგვეცნობიერებინა ილიას მგმრობის სიდიადეც და მისი განსაკუთრებული ადგილიც ერის ლიტერატურულ, კულტურულ თუ სულიერ ცხოვრებაში.

მაგრამ ყოველივე ეს არ გვაძლევს პასუხს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვაზე — რა არის ილია ჭავჭავაძის იდეურ-თეორიული, შემოქმედებითი და ზნეობრივი მემკვიდრეობის გასაოცარი დღეგრძელობის, მისი ნაწარმოებების მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, რა არის დღევანდელობასთან დიდი მწერლისა და . მოაზროვნის ორგანული კავშირის მიზეზი?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე სწორედ იმიტომაც არის ჩვენი დიდი თანამოსაგრე და თანამედროვე, ჩვენი მოძღვარი და თანამოაზრე, რომ მისი მემკვიდრეობა ეხმიანება ქვეყნის ზნეობრივი განახლების პროცესებს, რომელსაც დახაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და რომელიც ყოველმხრივ გააღრმავა პარტიის XXVII ყრილობამ.

ილია ჭავჭავაძე იმიტომაც არის ჩვენი დიდი თანამოსაგრე და თანამოაზრე, რომ მისი მემკვიდრეობა არის მედგარი ბრძოლისა და მოქმედების, გარდაქმნების, დემოკრატიის, პროგრესისადმი სწრაფვის, მოძველებული სტერეოტიპებისა და შაბლონებისაგან, ყოველივე იმ დამყაყებულისაგან გაბედული განთავისუფლების აპოლოგია, რაც ხელს გვიშლის ცხოვრებასა და შრომაში.

რაოდენ აქტუალურად და თანამედროვედ ეღერს დღეს ბევრი მისი ბრძანება!

რაოდენ სწორი და ცხოვრებისეულია ის მიზნები, რომლებიც მან და მისმა თანამოსაგრეებმა დაისახეს!

ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის ძირითად პირობად ილია ჭავჭავაძეს სამართლიანად მიაჩნდა ეკონომიკის განვითარების მისი დროისათვის პროგრესული ფორმების დანერგვა, ბუნების რესურსების გონივრული გამოყენება.

ამ მიზნის ოცდათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მისი ინიციატივით შექმნილი და მისივე ხელმძღვანელობით მოქმედი ქართული საადგილმამულო ბანკი, რომელიც უბრალო საკრედიტო დაწესებულება კი არ გახდა, არამედ სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის ბრძოლის სამდვილ ცენტრად იქცა.

ჩვენ დღესაც ბევრი რამ შეუძლია გვასწავლოს ილიას ბრწყინვალე პუბლიცისტიკამ, ბევრ რამეს საგულისხმოსა და სასარგებლოს გვაზიაროს მისმა მრავალმხრივმა სარედაქტორო საქმიანობამ, მისი პოლემიკური ხერხების არსენალმა, მისმა უნარმა ისე ეწარმოებინა პრინციპული დისკუსია, რომ პირადი ახვარიშების გასწორებამდე არ დაანიხებულიყო.

სიცოცხლის ბოლომდე ილია ჭავჭავაძე თანამემამულეთ ასწავლიდა ჰყვარებოდათ სამშობლო, ერთგულად ემსახურათ მისთვის, ეზრუნათ მისი აწმყოსა და მომავლისათვის, მოფრთხილებოდნენ მის სახელსა და ღირსებას. ისტორიის, საკუთარი წარსულის დავიწყება, მისი აზრით, ერის სულიერი და ფიზიკური გახრწნის მომასწავებელია.

ამ ანდერძს საერთო არა აქვს რა ეროვნული თვისებებისა და ეროვნული ისტორიის ბრმა იდეალიზაციასთან. ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობას მოუწოდებდა მიეხაძა გამოჩენილ წინაპართა ცხოვრების მაგალითისათვის, მაგრამ, ამავე დროს, მას მიაჩნდა, რომ ახალგაზრდობა არ უნდა გამოიკეტოს ეროვნულ ნაჭუჭში, იგი აქტიურად უნდა ეზიაროს ყოველივე პროგრესულს, რაც კი კაცობრიობის გენიას შეუქმნია, უნერგავდა ხალხს საკუთარი ძალებისადა შემოქმედებითი ნიჭის რწმენას.

სასიკეთო თესლმა სასიკეთოდ იხარა. დღეს საბჭოთა საქართველოს დიდი კულტურული, ინტელექტუალური, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, განვითარებული ლიტერატურა და ხელოვნება აქვს.

ამის შთამბეჭდავი დასტურია ილიას საიუბილეოდ დასრულებული უნიკალური ენციკლოპედიური მრავალტომეულის გამოცემა, რომელშაც ჩვენი ხალხის მიერ დღევანდლამდე შექენილი მთელი ცოდნა შეაჯამა.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რათა ჭეშმარიტი კულტურა, სულიერი სისპეტაკე და ზნეობრიობა სისხლხორცეულად შეითვისოს თითოეულმა კაცმა, რათა ეს თვისებები აქტიურად უწყობდეს ხელს ჩვენი საზოგადოების რევოლუციურ განახლებასა და გარდაქმნას.

ილია ჭავჭავაძის მგზნებარე პატრიოტიზმი თავისთავად გულისხმობდა სხვა ერების, მათი ტრადიციებისა და კულტურის ღრმა პატივისცემას, ულმობლობას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

ცნობილია, რაოდენ დიდი ამაგი დასდო მან ქართველების, აფხაზების, ოსების, საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ერთიანობისა და ძმობის დამკვიდრებას, რაოდენ მგზნებარედ ამხილებდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც ამიერკავკასიის მშრომელი ხალხების ცათიშვასა და დაპირისპირებას ისახავდა მიზნად.

მაგრამ მას ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა რუსი ხალხისადმი, იგი მკაფიოდ მიჯნავდა მეფის, მემამულეების რუსეთსა და პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლისა და ტოლსტოის რუსეთს. ილიასაგან ხალხს, რომელსაც უსაზღვრო სჯეროდა თავისი სულიერი ბელადისა, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ესმოდა, რომ საქართველოს სოციალური და ეროვნული თავისუფლების გზა რუსეთზე გადის, რომ რუსულმა მეცნიერებამ და კულტურამ შეასრულა გადამწყვეტი როლი XIX საუკუნის საქართველოს სულიერი ცხოვრების აღმავლობაში, რომ მხოლოდ რუსეთთან ერთობით შეძლებს ქართველი ხალხი თავისი სოციალური და ეროვნული იდეალების წარმატებით ხორცშესხმას.

ილია ჭავჭავაძის ეს უმნიშვნელოვანესი მსოფლმხედველობრივი დებულება დღესაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ჩვენი ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის სულიერ სახეზე.

სწორედ ახალგაზრდობას სჩვევია მომავლისაკენ სწრაფვა, დაუოკებელი მოძრაობა, რაც ილია ჭავჭავაძეს, ბობოქარი და ურჩი თერგის მსგავსად, გაღვიძებული სიცოცხლის აზრად და საფუძვლად ესახებოდა.

მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის დონისა და სიცოცხლის მიმცემი, — წერდა დიდი შემოქმედი, მატერიალისტი და დიალექტიკოსი.

ოქტომბრის დიადი საქმის წინსვლა, რევოლუციის განვითარება, გაგრძელება უწოდა მ. ს. გორბაჩოვმა გარდაქმნას.

ხოლო იმისათვის, რომ კვლავაც ვუცვალოთ სახე სამყაროს, საზოგადოებრივ ურთიერთობას, ჩვენ უნდა დავეწაფოთ წარსულში ყველაზე უფრო მაცოცხლებელს, სიცოცხლისუნარიანს, წმინდას, რაც წელში მართავს ადამიანს, ძალას, რწმენას, ენერგიას, რევოლუციურ ოპტიმიზმს უნერგავს მას.

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა სწორედ ერთი ასეთი ანკარა და აუმღვრეველი წყაროთაგანია, თქვა დასასრულ ოლიტარმა, და ჩვენც მარად მივიღებთ ილიასაგან ზნეობის, თავგანწირვის, ხალხის ერთგული სამსახურის დიდ გაკვეთილებს!

დიდი ქართველი მამულიშვილის მშემოქმედების წარუვალი მნიშვნელობის, მშობლიური კულტურის საგანძურში მისი უზარმაზარი წვლილის შესახებ ილაპარაკეს სალამოზე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ანდრია ვოზნესენსკიმ, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ივანე დრაჩმა, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვარდგეს პეტროსიანმა, აზერბაიჯანელ ენაზე გამომავალი ჟურნალის „ლიტერატურა და ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა ნარიმან ბასანზადემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ციციშვილმა.

საღამო დასრულდა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტით.

ფეხბურთი

ყველაფერი თ